

საქართველოს კანონი
„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში დამატებების შეტანის
შესახებ

მუხლი 1. „მაუწყებლობის შესახებ“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №5, 18. 01, 2005, მუხ. 19) საქართველოს კანონში შევიდეს შემდეგი დამატებები:

1. მე-2 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის ³¹⁵ ქვეპუნქტი:

„³¹⁵) სუბტიტრირება – კინოპროდუქციის პირველადი წარმოების ენიდან სხვა ენაზე წერილობითი თარგმანის წარწერა კადრის ქვედა ნაწილში“.

2. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 51¹ მუხლი:

„მუხლი 51¹. სახელმწიფო ენის გამოყენება მაუწყებლის მიერ ფილმის გადაცემისას

ფილმის (გარდა სატელევიზიო სერიალისა) მაუწყებლის მიერ ეთერში გადაცემა, კომისიის სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ შემთხვევებში, პერიოდულობით და წესით, შესაძლებელია მხოლოდ კომისიის მიერ განსაზღვრულ ფილმის პირველადი წარმოების ენაზე (ენებზე), საქართველოს სახელმწიფო ენაზე სავალდებულო სუბტიტრირების პირობით“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი